ᲯᲐᲭᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ორგან ценiрального и гбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

საშაბათი
17 ოქტომბერი
1939 წ.
№ 239 (5639)
ფასი 10 კაპ.

ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲗ ᲒᲐᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲝ ᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲔᲑᲘ

წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში 262.985 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები უნდა დაითესოს. 10 ოქტომბრისათვის დათესილი იყო 50.791 ჰექტარი—გეგმის 19,3 პროცენტი. ეს მოწმობს, რომ საშემოდგომო თესვა აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. გასულ წელთან შედარებით თესვის ტემპები ერთი-ორად და უფრო მეტად დაბალია. თესვის დროულად დამთავრების საქმე სერიოზულ საფრთხეშია, თუ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეწარმოთმქმედო ორგანოებმა და საქმიწარმოებამ ახლავე არ მიიღეს სასწრაფო ზომები თესვის ტემპების გადაჭრით გაძლიერებისათვის. მიუხედავად თესვის დამთავრების დაწესებული ვადის გასვლისა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკას, ბოგდანოვკის, წყალტუბოს, სამტრედიის, წულუკიძის, ვანის, ბაღდათის, ჭიათურისა და ამბროლაურის რაიონებს 10 ოქტომბრისათვის თესვა დაწყებული არ ჰქონდათ. საშემოდგომო თესვაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ მარცვლეულის ძირითადი რაიონები: წითელწყარო (თესვის გეგმა შესრულებული აქვს 18,3 პროცენტით), სილნაღი (38,5 პროც.), გურჯაანი (5,3 პროც.), კასპი (18,6 პროც.), ქარელი, ხაშური, ახალციხე, თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი, დუშეთი, ალბალაღი, ბაშკიჩეთი, თბილისის რაიონი. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი და სხვ.

მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, ბევრ რაიონს არ დაუმთავრებია რიგითი მარცვლის გადაცემა ჯამშიან სათესლე მასალაზე. 10 ოქტომბრისათვის თესლის გადაცემა დაწყებული არ ჰქონდათ აფხაზეთის, ასს რესპუბლიკას, გურჯაანის, მცხეთის, ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ახალციხის, ამბროლაურის, ონის, წითელწყაროს, სილნაღისა და თიანეთის რაიონებს.

ადიგენის რაიონს თესლის გადაცემის გეგმა შესრულებული ჰქონდა 41,7 პროცენტით, კასპისას—67,6-ით, თელავისას—11,7-ით, ლაგოდეხისას — 8-ით, ყვარლისას — 2,3-ით, თბილისისას—5,2-ით. ასევე ჩამორჩნენ გორის, ბორჩალოს, საგარეჯოს, აღბულაღის რაიონები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი.

შეუწყვარებლივ ჭიათურდება სათესლე სესხის გატანა. სახელმწიფოს მიერ გაცემული 10.500 ცენტნერი სათესლე სესხიდან კოლმეურნეობებს გატანილი აქვთ მხოლოდ 5.141 ცენტნერი ანუ 49 პროცენტი. ქარელსა და ხაშურის რაიონებში 10 ოქტომბრისათვის დაწყებული არ ჰქონდათ სათესლე სესხის გაცემა. ასპინძის რაიონმა კოლმეურნეობებზე გასცა მიცემული სათესლე სესხის მხოლოდ 42,4 პროცენტი, ახალციხისამ—50 პროცენტი. ჩამორჩნენ აგრეთვე ლაგოდეხის, მცხეთის, დუშეთისა და თბილისის რაიონები.

მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თესლის დახარისხებას, გარკვევას. მაგრამ ბევრგან ამ საქმეს სამიწათმოქმედო ორგანოები ოპერატიულ ხელმძღვანელობას არ უწევენ. ამის შედეგად სათესლე ფონდის ნაწილი ამჟამად ბევრგან თესვისათვის გამოუსადეგარია, რადგან თესლი დანაგვიანებულია. ლაბორატორიულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებში 7.130 ცენტნერი სათესლე ხორბლიდან სიწმინდის მხრივ დაწუნებული აღმოჩნდა 1.286 ცენტნერი. კასპის რაიონში 10.100 ცენტნერიდან დანაგვიანებული აღმოჩნდა 4.100 ცენტნერი, ბორჩალოს რაიონში კი—12.097 ცენტნერიდან თითქმის ნახევარი. რა უნდა ითქვას სამიწათმოქმედო ორგანოთა ისეთ ხელმძღვანელებზე, რომლებიც არ დაინტერესებულან თესლის ხარისხით, ხოლო როგორც ზემოაღნიშნული ფაქტები მოწმობენ, გახურებული თესვის დღეებში თესლი მომზადებული არ არის და შეგროვებული თესლის დიდი ნაწილი არ აკმაყოფილებს აუცილებელ მოთხოვნას. ასეთი დაუშვებელი ჩამორჩენის მოთმენა ერთ წუთსაც არ შეიძლება.

ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები, რომ თესვის გაჭიანურება საფრთხეს უქმნის უხვი მოსავლის მიღებას. არავითარი დაყოვნება საშემოდგომო თესვაში! ეს მოთხოვნა კანონი უნდა გახდეს თვითეული კოლმეურნეობისა და საკოლმეურნეო ბრიგადისათვის. საშემოდგომო თესვაში ძვირფასია ყოველი საათი. დროულად და მაღალხარისხოვნად დათესვა ნიშნავს მომავალ წელს უხვი მოსავლის მიღებას. ამიტომ სასწრაფო და გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ უახლოეს დღეებში გამოვისწოროთ სამარცხვინო ჩამორჩენა საშემოდგომო თესვაში.

საჭიროა საშემოდგომო ხვნა-თესვაში მტკიცე ბრძოლა ვადებისა და ხარისხისათვის. აი რა უნდა იქნას გათვალისწინებული. ყველა პირობა არსებობს საშემოდგომო თესვაში არსებული ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის.

საჭიროა რაიკომთა ბიუროებისა და რაიაღმასკომთა პრეზიდიუმების გაერთიანებულ სხდომებზე მოისმინონ თესვის მიმდინარეობის საკითხი და მიიღონ ყველა ზომა თესვის გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რაიონებმა უნდა დაამთავრონ თესლის გადაცვლა როგორც „ზაგოტზერნოს“, ისე საქსახჯიშფონდის ბაზით და ამ დროისათვის კოლმეურნეობებმა მთლიანად გაიტანონ „ზაგოტზერნოს“ პუნქტებიდან სათესლე სესხი. მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების მთელი სატრაქტორო პარკი და კოლმეურნეობათა მთელი ცოცხალი გამწევი ძალა გადაყვანილ უნდა იქნას ხვნა-თესვის სამუშაოებზე.

ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ საშემოდგომო თესვას, ეს ნიშნავს — თვითეული სოფლისაბჭოს, კოლმეურნეობის, მტს-ის, საკოლმეურნეო და სატრაქტორო ბრიგადისათვის დავაწესოთ ყოველდღიური დავალება ხვნა-თესვის ხაზით, ყოველი დღის ბოლოს შევამოწმოთ ამ დავალების შესრულება და დაუყოვნებლივ მოვაწყოთ დახმარება ჩამორჩენილებისადმი.

უნდა მოვაწყოთ კოლმეურნეთა მასობრივად გასვლა ხვნა-თესვის სამუშაოებზე, სისტემატური ყურადღება უნდა მივაქციოთ თესვის დროულად და ხარისხობრივად ჩატარებას სათესლე ნაკვეთებსა და რაიონულ სათესლე მეურნეობებში. სისტემატურად უნდა შევამოწმოთ ხვნა-თესვის ხარისხი ყველა კოლმეურნეობაში. აგროწესების დამრღვევნი მიცემულ უნდა იქნან მკაცრ პასუხისგებაში.

საქ. სსრ სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი პარტიული და საბჭოთა ორგანოებისაგან მოითხოვენ საშემოდგომო თესვის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებას. ყველა ზომა უნდა მივიღოთ საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა ზუსტად და დროულად შესრულებისათვის.

საკოლმეურნეო სოფელი ამჟამად ახალ მძლავრ პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობას განიცდის. სოციალისტურ მინდვრებზე ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მორიგ წარმატებათა მოსაპოვებლად. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანაა სათაოდ ჩაუდგნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტურ შეჯიბრებას საშემოდგომო სამუშაოთა სანმუშოდ ჩატარებისათვის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ საშემოდგომო თესვა ჩავატაროთ ისე, როგორც ამას მოითხოვენ ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

(„საქჩაის“ 15 ოქტომბრის ცნობებით)

რაიონები	ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ტონობით	მიკრეფილია სულ დაწყებიდან დღემდე ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	სეზონისათვის გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	1.705	1.685,7	98,9	71,6
ქობულეთი	7.848,6	7.849,4	100	104,2
გალი	3.128	3.482,1	111,3	55,7
ოჩამჩირე	1.793	1.842	102,7	59,8
სოხუმი	14	14,3	102,1	—
გუდაუთი	16	28,6	178,8	20
მახარაძე	10.011	10.097,6	100,9	73,7
ჩოხატაური	1.253	1.330,5	106,2	61,9
ლანჩხუთი	3.350	3.378,2	100,8	66,2
სამტრედია	261	298,6	114,4	80
წულუკიძე	1.151	1.263,9	109,8	96,5
ქუთაისი	132,8	150,7	113,5	42,5
წყალტუბო	184,2	223,4	121,8	63,3
ტყიბული	510	483,8	94,9	93,8
ცხაკაია	929	1.072,2	115,4	77,1
გეგეჭკორი	2.626	2.449,5	93,3	117,5
ზუგდიდი	4.881,4	5.091,1	104,3	31,6
წალენჯიხა	1.618	1.629,2	100,7	62,1
ჩხოროწყუ	1.302	1.375,2	105,6	50,6
ხობი	386	401,6	104	75,5
ს უ ლ 43.100	**44.147,6**	**102,4**	**73,1**	

○

ცნობა სალიბაურის (ბათუმის რაიონი) და მამათის (ლანჩხუთის რაიონი) ჩაის ფაბრიკებზე მოცემულია 10 ოქტომბრის მდგომარეობის მიხედვით.

ოქტომბრის პირველ ხუთდღიურში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამზადდა 365,9 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მეორე ხუთდღიურში—252,9, ხოლო მესამეში—304 ტონა.

ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲚᲔᲠᲛᲝᲜᲢᲝᲕᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

დედაქალაქის საზოგადოებრიობამ 15 ოქტომბერს აღნიშნა დიდი რუსი პოეტის მ. ი. ლერმონტოვის დაბადების 125 წლისთავი. პროფკავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა საზეიმო სხდომა, რომელიც მოწვეული იყო საბჭოთა მწერლების კავშირისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ. სხდომის პრეზიდიუმში არიან — აკადემიკოსები შმიდტი, ნიკიტინი, დებორინი, მწერლები და პოეტები ფადეევი, ივანოვი, ანტოკოლსკი და ცნობილი ლიტერატურათმცოდნენი.

სხდომა გახსნა ორდენოსანმა პოეტმა ნიკოლოზ ასეევმა.

შემდეგ შესავალი სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა აკადემიკოსმა ა. ნ. ტოლსტოიმ, რომელმაც მკაფიოდ დაასურათა ლერმონტოვის შემოქმედებითი ბიოგრაფია. პროფესორმა ვ. ი. კირპოტინმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „ლერმონტოვი და რევოლუცია“.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის ხელოვნების გამოჩენილმა ოსტატებმა. შესრულებულ იქნა ლერმონტოვის ლექსები და პოეტის ტექსტების მიხედვით დაწერილი რომანსები. (საკდესი).

ᲝᲞᲔᲠᲐ „ᲐᲚᲛᲐᲡᲢᲘ“ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ

15 ოქტომბერს სსრ კავშირის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში მოხდა სომხური ხელოვნების დეკადის პირველი სპექტაკლის საზოგადოებრივი შემოწმება. სომხეთის ა. ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა ამ დღეს გვიჩვენა ოპერა „ალმასტი“. ეს ნაწარმოები დაწერილია ცნობილი კომპოზიტორის სპენდიაროვის მიერ, რომლის სახელსაც თეატრი ატარებს.

საზოგადოებრივ შემოწმებას დაესწრნენ ცნობილი საზოგადოებრივი მოღვაწენი, მსახიობნი, კომპოზიტორები, მუსიკოსები, მწერლები, მხატვრები, კრიტიკოსები, ხელოვნებათმცოდნენი და პრესის წარმომადგენლები. პარტერი, ლოჟები და იარუსები გაჭედილია ხალხით. მოსკოველების პირველი შეხვედრა სომეხი ხალხის ხელოვნების წარმომადგენლებთან განსაკუთრებით გულთბილი იყო.

სპექტაკლმა, რომელიც დადგმულია გ. ა. ოვანესიანის მიერ და გაფორმებულია სომხეთის სს რესპუბლიკის სახალხო მხატვრის მ. ს. სარიანის მიერ, დიდი წარმატებით ჩაიარა. გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია ბალეტმეისტერ ი. ა. არბატოვის (იაგუბიანის) მიერ დადგმულმა ცეკვამ. საუცხოოდ ჟღერდა ორკესტრი დირიჟორ გ. ე. ბუდაგიანის ხელმძღვანელობით.

მთავარ როლებში გამოვიდნენ პ. კ. ლისიციანი, ტ. ტ. საზანდარიანი, დ. მ. პოლოსიანი, ა. ვ. ანანიანი, ლ. ნ. ისეცკი-იოანესიანი, ვ. ლ. გუსელნიკოვი და გ. გ. გაბრიელიანი. (საკდესი).

ᲐᲭᲐᲠᲐᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

(ᲗᲐᲗᲣᲛᲘ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

აჭარის ასსრ რესპუბლიკამ 16 ოქტომბრისათვის შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9.554.000 კილოგრამისა, მოკრეფილია 9.554.803 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ე. ი. 1.043.300 კილოგრამით მეტი, ვიდრე გასული წლის ბოლომდე მოიკრიფა. მოკრეფილი ფოთლის 78,7 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ჩაის კრეფა გრძელდება. 16 ოქტომბრისათვის აჭარის ჩაის ფაბრიკებმა გამოუშვეს 2.052.246 კილოგრამი მზა პროდუქცია.

Ჯ. ᲓᲝᲚᲑᲝᲠᲯᲒᲘᲜᲘᲫᲔ

ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ორჯონიკიძის რაიონმა 14 დეკემბრისათვის ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა 104 პროცენტით შეასრულა, აქედან სავალდებულო დამზადებისა—103,8 პროც; თავისუფალი შესყიდვის გეგმა კი—106,8 პროცენტით. დამზადებული და გადამუშავებულია 14.800 ცენტნერი შამპანურის ღვინის სამასალე ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14.250 ცენტნერისა.

ყურძნის დამზადება და გადამუშავება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი
ს. ᲡᲐᲣᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ

რაიაღმასკომის თავმჯდომარე
ᲮᲘᲮᲐᲫᲔ

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ. (ტელეფონით „კომუნისტის“ კორ.). რაიონმა 15 ოქტომბრისათვის 100.02 პროცენტით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 7.847.208 კილოგრამი ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.846.000 კილოგრამისა. მოკრეფილი ფოთლის 76,9 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა გრძელდება.

ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲖᲘᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ (ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ

15 ოქტომბერს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა სავაჭრო შეთანხმება სსრ კავშირსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის 1939-40 წლისათვის.

სავაჭრო შეთანხმება ითვალისწინებს საქონელბრუნვის გადიდებას სსრ კავშირსა და ლიტვას შორის თითქმის ორჯერ და აწესებს საერთო ბრუნვის მოცულობას ორივე სახელმწიფოს შორის 40 მილიონი ლიტის ოდენობით.

საბჭოთა მხრივ სავაჭრო შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. ა. ი. მიქოიანმა, ლიტვის მხრივ — ლიტვის რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულმა ბ-ნმა ნარკაიტისმა. (საკდესი).

ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲢᲐᲠᲜᲝᲞᲝᲚᲘ, 15 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორ.) დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების დეპუტატთა არჩევნების ველიკი-ხოდიჩის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობა დილიდან დაღამებამდე სავსეა ხალხით. აქ მოდიან გლეხები სულ შორეული დასახლებული პუნქტებიდანაც კი. ერთნი კითხულობენ, თუ უკეთ როგორ მოამზადონ შენობები კენჭისყრისათვის. სხვები უზიარებენ საარჩევნო უბნებში გაწეული საagიტაციო მუშაობის პირველ გამოცდილებას.

ბევრი სამუშაო აქვს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ადგილობრივ გლეხს ამხ. ვლადიმერ ტალაკის. პირველად უხდება მას სახელმწიფო საკითხების გადაჭრა. ის პირადად უკვე იყო ყველა საარჩევნო უბანში, გაეცნო არჩევნებისათვის მზადებას, მისცა მთელი რიგი პრაქტიკული რჩევა-დარიგება. კომისიის წევრები—ამხ. ი. მაცელიუხი, ფ. ზაბოლოტნი, ი. ბურკოვსკი და პ. კოზუბი—პასუხს აგებენ იმ საარჩევნო უბნების მუშაობისათვის, რომლებზედაც ისინი მიმაგრებული არიან.

„საარჩევნო უბნების მომზადების შემოწმებამ დაგვანახვა, რომ კომისიები ენერგიულად მუშაობენ. ყველგან გამოყოფილია შენობები, მთავრდება კაბინების მოწყობა და შენობების მორთვა.

საარჩევნო უბნებში აგიტატორებმა აქტიური საქმიანობა გააჩაღეს. შედგა ამომრჩეველთა საერთო კრებები.

ფართოდ გაიშალა მასობრივი საagიტაციო მუშაობა საარჩევნო ოლქის ცენტრში — სოფელ ველიკიე ხოდიჩში. ათკომლეულებში agიტატორები განუმარტავენ დასავლეთ უკრაინის უკრაინელთა სახალხო კრების არჩევნების დებულებას, აწყობენ საუბრებს საბჭოთა კავშირის შესახებ. პირველ ხანებში სოფელში სსრ კავშირის კონსტიტუციის მხოლოდ სამი ბროშურა იყო. ეს ბროშურები ხელიდან ხელში გადადიოდა. ერთერთმა agიტატორმა—სოფლის ფოსტალიონმა —ორი ღამის განმავლობაში მთლიანად გადასწერა ხელით სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტი და დაიწყო მისი შესწავლა ამომრჩევლებთან ერთად. ამჟამად სოფელმა საკმაო რაოდენობით მიიღო საჭირო ლიტერატურა.

ერთერთ საუკეთესო agიტატორად დამახასიათებულად ითვლება 60 წლის ივანე პადნიუკი. თავის საუბრებს ამხ. პადნიუკი ასურათებს კონკრეტული მაგალითებით დასავლეთ უკრაინის გლეხთა მძიმე ცხოვრებიდან პოლონეთის შლიახტის უღელქვეშ. სოფელში, სადაც იგი ცხოვრობს, 500-მდე გლეხურ მეურნეობას ჰქონდა მიწის უმნიშვნელო ნაკვეთები — ნახევრიდან ერთ მორგამდე. მოსახლეობა უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა. ხდებოდა სოფლის თანდათან გადაშენება, შარშან აქ დაიბადა მხოლოდ ხუთი ბავშვი, ხოლო გარდაიცვალა 15 კაცი. ახლა სოფელმა ახლებურად იწყო ცხოვრება. პანების მიერ ხალხის ჩაგვრას სამუდამოდ ბოლო მოეღო.

ოლქში დაიწყო სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება, რაშიაც მოსახლეობა უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს. მშრომელნი მგზნებარე სიტყვებით გამოდიან კრებებზე.

— სიტყვები არ მყოფნის იმისთვის, რომ გამოვსთქვა სიხარული, რომელსაც განვიცდი, — განაცხადა წინასაარჩევნო კრებაზე ამხ. ბონდარმა. — მე, ჯერ კიდევ ახლო წარსულში უუფლებო ღარიბ გლეხს, საშუალება მომეცა ხმამაღლა ვილაპარაკო, თავისუფლად გამოვთქვა ჩემი ნება-სურვილი. ჩვენ ხმას მივცემთ დასავლეთ უკრაინის მშრომელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს.

სოფლები სადღესასწაულოდ ირთვებიან. საარჩევნო უბნების შენობები მორთულია ალისფერი დროშებით, პლაკატებით, ლოზუნგებით, რომელნიც ამომრჩევლებს მოუწოდებენ ხმა მისცენ დასავლეთ უკრაინის საუკეთესო შვილებს და ქალიშვილებს.

ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲔᲚᲘᲡ ᲦᲐᲘᲚᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲢᲐᲚᲘᲜᲘ, 15 ოქტომბერი (საკდესი). გადმოგვცემთ ესტონეთის არმიის მთავარსარდლის გენერალ ლაიდონერის მიერ ტალინში 12 ოქტომბერს წარმოთქმული სიტყვის უფრო ვრცელ ტექსტს.

„23 სექტემბერს წარმოთქმულ სიტყვაში,—განაცხადა ლაიდონერმა,—მე გამოვთქვი მტკიცე რწმენა, რომ ჩვენი სახელმწიფო და ხალხი არ უნდა იქნან ჩათრეული ომში. მე განვაცხადე, რომ, თუ ვინმე თავს დაგვესხმის, ჩვენ შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაგიწევთ მეთქი. განვლო მხოლოდ სამმა კვირამ. ჩვენი სახელმწიფოს და ხალხის ცხოვრებაში სერიოზული ამბები მოხდა. ჩვენ ურთიერთდახმარების პაქტი დავდევით ჩვენს დიდ აღმოსავლეთელ მეზობელთან — საბჭოთა კავშირთან. ამ პაქტის შინაარსი ყველასათვის ცნობილია. პაქტი უკვე ძალაში შევიდა. ტალინში მყისვე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სამხედრო კომისია და ასეთივე კომისია დანიშნულ იქნა ჩვენი მხრითაც. საბჭოთა კავშირისა და ესტონეთის შეიარაღებული კომისიის წინაშე იდგა ძნელი ამოცანა — სწრაფად მიეღწიათ ურთიერთ შეთანხმებისათვის პაქტის რეალიზაციის საკითხებზე, დაეწესებინათ ბაზების ადგილები საბჭოთა კავშირის საზღვაო ძალებისათვის და მიეღწიათ შეთანხმებისათვის ამ საზღვაო ბაზების დასაცავად გათვალისწინებული გარნიზონების განლაგებისა და დროებითი ადგილსამყოფელის შესახებ წამოყენებულ საკითხებში.

ეს დიდი სამუშაო ახლა დამთავრებულია. იგი ურთიერთ ნდობისა და გაგების ატმოსფეროში ტარდებოდა. ამჟამად საბოლოოდ დაწესებულია საბჭოთა ჯარის განლაგების ნაირობები.

მე მინდა მოკლედ შევჩერდე საბჭოთა კავშირის ჯარის განლაგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს საკითხები აინტერესებენ ჩვენს ადმინისტრატიულ და სამხედრო ხელისუფალთ, აგრეთვე მოსახლეობასაც.

საბჭოთა კავშირის ჯარი პირველ რიგში მოთავსებული იქნება საზოგადოებრივ შენობებში და ნაწილობრივ საგარეუბნო აგარაკებში. და მხოლოდ ჭკანასკნელ რიგში შეიძლება იყოს ლაპარაკი ამ ჯარის განლაგებაზე ცალკეულ პატარა სახლებსა და ცალკეულ ხუტორებში.

ყველა ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ პაქტის დადება და საბჭოთა კავშირისა და ესტონეთის შეიარაღებული კომისიის მუშაობა ნდობისა და გაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა. მე იმედი მაქვს, რომ ასეთსავე თანამშრომლობასა და ნდობას ექნება ადგილი საბჭოთა ჯარის განლაგებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაჭრის დროსაც.

საბჭოთა ჯარის მოსვლა ჩვენს ტერიტორიაზე დანიშნულია 18 ოქტომბრისათვის. ჯარი ჩამოვა გზატკეცილებით, რკინიგზებითა და ზღვით. მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ჩვენი მოსახლეობა საბჭოთა კავშირის ჯარს მშვიდად შეხვდება, რომ ურთიერთობა ჩვენს ადგილობრივ ხელისუფლებასა და საბჭოთა კავშირის სამხედრო ხელისუფლებას შორის, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებლებსა და წითელ არმიას შორის ურთიერთ ნდობაზე იქნება დამყარებული ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ურთიერთდახმარების პაქტის დადების დროს მოსკოვში და შერეული კომისიის მუშაობის დროს ტალინში.

დასასრულ მინდა ვთქვა, საერთო საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მომავლის შესახებ. შუა ევროპისა და დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს ეომებიან. ნამდვილი ომი ჯერ კიდევ არ დაწყებულა. მაგრამ ამჟამად ხდება ნერვების უდიდესი დაძაბვა და სწარმოებს ეკონომიური ომი, რომელიც ანადგურებს როგორც მეომარ, ისე არამეომარ სახელმწიფოებს. რამდენ ხანს გაგრძელდება ომი? რომელი სახელმწიფოები და ხალხები ჩაებმებიან ომში? ამაზე არავის არ შეუძლია გვიპასუხოს. კიდევ უფრო ნაკლებად შეიძლება იმის წინასწარ გადაწყვეტა, თუ ვინ გამოვა ამ ბრძოლიდან გამარჯვებული და დამარცხებული.

ჩვენ ჩვენი სახელმწიფოს და ხალხის ბედი რამდენადმე დავუკავშირეთ ურთიერთდახმარების პაქტს საბჭოთა კავშირთან, რომელმაც ამასთან დაკავშირებით კვლავ ხაზგასმით აღნიშნა თავისი მშვიდობიანი პოლიტიკის უცვლელობა და სურვილი განაგრძოს ეს პოლიტიკა. ეს დიდი დადებითი ფაქტორია ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი ხალხის მომავლისათვის.

უკანასკნელ დროს ბევრნი შიშს გამოსთქვამდნენ, რომ საბჭოთა კავშირთან დადებულ ურთიერთდახმარების პაქტს ცვლილებები არ გამოეწვია ჩვენს სახელმწიფო წესწყობილებასა და ეკონომიურ ცხოვრებაში. ამის გამო ჩვენ შეგვიძლია დავიმოწმოთ ურთიერთდახმარების პაქტის მე-5 მუხლი, რომელიც ამბობს, რომ პაქტის ცხოვრებაში გატარება არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეხოს პაქტის დამდებ მხარეთა სუვერენულ უფლებებს, განსაკუთრებით მათს ეკონომიურ სისტემას და სახელმწიფოებრივ წესწყობილებას.

ჩვენ გვსურს აშკარად და პირდაპირ შევასრულოთ ეს პაქტი და დარწმუნებული ვართ, რომ მას შეასრულებს აგრეთვე საბჭოთა კავშირიც. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ომი ანადგურებს მეომარ ქვეყნებს და უარყოფითს გავლენას ახდენს ნეიტრალურ სახელმწიფოებზედაც. ჩვენ ვიცით, რომ ომის არაპირდაპირი სიძნელენი მაინც უფრო ადვილი ასატანია, ვიდრე საშინელება და ზარალი უშუალოდ ბრძოლის ველზე. მთელი ხალხი მზად უნდა იყოს გაიღოს მსხვერპლი, და გასაგებია, რომ მსხვერპლის უდიდესი ნაწილის გაღება შეძლებულ ფენებს მოუხდებათ ერთსულოვნად შევხვდეთ მომავალს და განვაგრძოთ მუშაობა ჩვენი სახელმწიფოს, ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ ᲧᲐᲠᲘᲜᲨᲘ

ᲢᲐᲚᲘᲜᲘ, 15 ოქტომბერი (საკდესი). 15 ოქტომბერს, 4 საათზე, მოსკოვის დროით, ტალინის რეიდში ჩავიდა წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ესკადრა 12 ალმის რაოდენობით. ესკადრას მეთაურობდა სახაზო გემი „ოქტომბრის რევოლუცია“, რომელზედაც ბაირაღი ე

სკოლის დამსახურებულ მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება შემდეგ პირებს:

1. ავქსენტი შაიმილის-ძე **ალანიას** — ხობის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
2. თამარა სტეფანეს-ასულ **ალადაშვილს** — წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
3. ილია ივანეს-ძე **ალიხანოვს** — გორის რუსული საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს.
4. ნიკოლოზ ავქსენტის-ძე **ანჯაფარიძეს** — ხაშურის რაიონის სოფ. გომის საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
5. მართა პავლეს-ასულ **ბაქრაძეს** — თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბნის არასრული საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
6. გრიგოლ თომას-ძე **ბახტაძეს** — წულუკიძის რაიონის სოფ. წითელი არსენალის დაწყებითი სკოლის გამგეს.
7. მარიამ ვასილის-ასულ **ბახუტაშვილს** — თელავის რაიონის სოფ. ზემო-ალვანის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
8. ნადია პავლეს-ასულ **ბებურიას** — ხობის საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
9. ნინო იოსების-ასულ **ბოცვაძეს** — თბილისის მე-34 საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერ. მასწავლებელს.
10. გიორგი ნიკოლოზის-ძე **ბურჯულაძეს** — თბილისის მე-5 საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
11. სავლე თედორეს-ძე **ბრეგაძეს** — თბილისის მე-34 საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.
12. სეფე ბესარიონის-ძე **ბურჭულაძეს** — კასპის რაიონის სოფ. ქედჩარუბის არასრული საშუალო სკოლის დირექტორს.
13. ელენე ასლანის-ასულ **ბუტულაშვილს** — თბილისის მე-108 საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
14. ივანე ალექსანდრეს-ძე **ბუქურაულს** — თბილისის მე-43 საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტ. მასწავლებელს.
15. პორფირე გოგის-ძე **გაბიანს** — ქვემო-სვანეთის რაიონის სოფ. ჩიხარეშის არასრული საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
16. ივლიანე გვადის-ძე **გაბუნიას** — გეგეჭკორის რაიონის სოფ. ზანძის საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
17. გრიგოლ ივანეს-ძე **გეგენავას** — ცხაკაიას პედასწავლებლის რუსული ენის მასწავლებელს.
18. ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე **გვახარიას** — თბილისის ქართული პედასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
19. გიორგი ლევანის-ძე **გლურჯიძეს** — გორის რაიონის სოფ. ბერშუეთის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელს.
20. გიორგი ლეონტის-ძე **გოგოძეს** — ვანის რაიონის სოფ. მიქელეფონ-კუშუბორის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
21. სიმონ ივანეს-ძე **გრძელიშვილს** — თბილისის მე-35 საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
22. სოლომონ თედორეს-ძე **გულისაშვილს** — საგარეჯოს საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს.
23. ერემია დიმიტრის-ძე **გულისაშვილს** — საგარეჯოს მოზრდილთა საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
24. ნესტორ უტუს-ძე **გულუას** — წალენჯიხის ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის არასრულ საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
25. ეგვენია კონსტანტინეს-ასულ **ეგაძე-ყიფშიძისას** — თბილისის მე-25 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
26. იულია ზოტიკეს-ასულ **ვერულაშვილს** — თბილისის მე-9 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
27. თამარ გიორგის-ასულ **ზაალიშვილი-გიორგობიანისას** — თბილისის 1-ლი საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
28. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **ზახაშვილს** — ყვარლის საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
29. ანასტასია ალექსანდრეს-ასულ **ზახაშვილს** — ყვარლის საშ. სკოლის დაწყ. კლასის მასწავლებელს.
30. ანეტა ბესარიონის-ასულ **თვალთვაძეს** — წალენჯიხის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
31. ნინა ნიკოლოზის-ასულ **თევდორაძეს** — ხობის რაიონის სოფ. ნოჯიხევის არასრული საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
32. სოფიო კორნელის-ასულ **იმერლიშვილს** — ყვარლის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
33. ტერეზა ალექსის-ასულ **იმნაიშვილს** — ხაშურის რაიონის სოფ. ტაშისკარის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელს.
34. ეპიფანე მაქსიმეს-ძე **იმნაძეს** — ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.
35. მიხეილ მარკოზის-ძე **იმნაძეს** — ლანჩხუთის რაიონის სოფ. გვიმრალაურის არასრული საშ. სკოლის დირექტორს.
36. ილია ალექსანდრეს-ძე **კაპანაძეს** — გორის პედასწავლებლის ქართ. ენისა და ლიტ. მასწავლებელს.
37. ოლღა ვასილის-ასულ **კაპანაძეს** — სოხუმის პედასწავლებლის რუსული ენის მასწავლებელს.
38. პეტრე სოლომონის-ძე **კაპანაძეს** — ხაშურის რკინიგზის სკოლის მასწავლებელს.
39. ნინო დიმიტრის-ასულ **კასრაძეს** — თბილისის მე-35 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
40. სერგო ალექსანდრეს-ძე **კაჭარავას** — ბაშის საშ. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს.
41. ელენე გიორგის-ასულ **კეჰეყმაძეს** — მახარაძის საშ. სკოლის მასწავლებელს.
42. აგნესა სოლომონის-ასულ **კილასონიას** — ჩოხატაურის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
43. ევგენია იასონის-ასულ **კოპალიანს** — ქვემო-სვანეთის რაიონის ლენტეხის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
44. ნინა დიმიტრის-ასულ **კორნთელს** — გორის რაიონის სოფ. ტყვავის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
45. მაქსიმე ნიკოლოზის-ძე **კუბლაშვილს** — ტყიბულის საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
46. მიხეილ პეტრეს-ძე **ლაბარტყავას** — თბილისის მე-44 საშუალო სკოლის დირექტორს.
47. ვალენტინა ივანეს-ასულ **ლოგინოვას** — თბილისის მე-57 საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
48. არჩილ კირიონის-ძე **მათიკაშვილს** — ყვარლის საშ. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს.
49. ვასილ დავითის-ძე **მამულოვს** — ქ. თბილისის კიროვის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორს.
50. თერაპონტე არჩილის-ძე **მანჯავიძეს** — ზესტაფონის პედასწავლებლის მათემატიკის მასწავლებელს.
51. ანტონ მიხეილის-ძე **მეტრეველს** — ყვარლის საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
52. სალომე ნიკოს-ასულ **მეტრეველს** — ყვარლის საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
53. მიხეილ კონსტანტინეს-ძე **მიროვიჩს** — თბილისის მე-106 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებელს.
54. გრიგოლ ვასილის-ძე **მიხაილოვს** — თბილისის მე-26 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს.
55. ელისაბედ გიორგის-ასულ **მშველიძეს** — ხაშურის რაიონის სუჩამის არასრული საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
56. ალექსანდრე მიხეილის-ძე **მიხაილოვს** — თბილისის მე-45 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
57. ფილიმონ ესტატეს-ძე **ნადარეიშვილს** — ფოთის მეორე საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
58. ვარლამ ვლადიმერის-ძე **ნაფეტვარიძეს** — ვანის რაიონის სოფ. შუამთის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
59. ვლადიმერ ქრისტეფორეს-ძე **ნაცვლიშვილს (ბზვანელს)** — ქუთაისის მე-25 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.
60. ალექსანდრა იოსების-ასულ **ნებიერიძეს** — თბილისის მე-14 საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
61. სტეფანე კონსტანტინეს-ძე **ნიკოლეიშვილს** — თბილისის მე-53 საშ. სკოლის დირექტორს.
62. ნიკოლოზ დიმიტრის-ძე **ნუცუბიძეს** — ქუთაისის მე-2 საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებელს.
63. დომენტი თომას-ძე **ოყრუშიძეს (თომაშვილს)** — ქუთაისის მე-2 საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.
64. დავით დავითის-ძე **პარკაძეს** — თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
65. ივანე გაბრიელის-ძე **პეტროვს** — თბილისის მე-46 საშ. სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს.
66. ანასტასია დიონისის-ასულ **უვანიას** — ფოთის რუსული საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
67. თამარ ელისეს-ასულ **რობიტაშვილს** — წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანის საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
68. გიორგი ნიკოს-ძე **სალარიძეს** — თბილისის მე-45 საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.
69. პეტრე არშაკის-ძე **ტიგრანიანს** — თბილისის მე-38 საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
70. ვლადიმერ ხაალის-ძე **რობიტაშვილს** — გურჯაანის რაიონის სოფ. ახალშენის არასრული საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
71. ივანე ბესარიონის-ძე **ურუშაძეს** — თბილისის მე-15 საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
72. მიხეილ ივანეს-ძე **ფანჯავიძეს** — ხაშურის მე-2 საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.
73. ავქსენტი მანუჩარის-ძე **ფარულავას** — გეგეჭკორის საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.
74. ნიკოლოზ დავითის-ძე **ფხალაძეს** — გურჯაანის რაიონის სოფ. ყანდაურის არასრული საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
75. თეოფილე გიორგის-ძე **ქუთათელაძეს** — ბაღდათის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
76. ლიუბოვ ილიას-ასულ **ქუთათელაძეს** — თბილისის მე-8 საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტ. მასწავლებელს.
77. სოლომონ პავლეს-ძე **ქუთათელაძეს** — თბილისის მოზრდილთა მე-7 საშ. სკოლის დირექტორს.
78. ვერა მიხეილის-ასულ **შათირიშვილს** — ხაშურის მე-2 საშუალო სკოლის დაწყ. კლასის მასწავლებელს.
79. თედორე (ასლან) ანტონის-ძე **შანავას** — წალენჯიხის საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.
80. პავლე ბესარიონის-ძე **შანავას** — წალენჯიხის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
81. ოლღა იოსების-ასულ **შარაბიძეს** — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყ. ინსპექტორს.
82. რუსტამ პაშას-ძე **შარიქოვს** — ბორჩალოს რაიონის კიზილ აჯლინის არასრული საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
83. ნიკოლოზ ივლიანეს-ძე **შაფაქიძეს** — თბილისის მე-8 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
84. თამარ ივანეს-ასულ **შიუკაშვილს** — თელავის საშ. სკოლის დაწყ. კლასის მასწავლებელს.
85. გალაქტიონ ექვთიმეს-ძე **ჩაჩხიანს** — საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულის საშ. სკოლის სასწ. ნაწილის გამგეს.
86. მალაქია ალექსის-ძე **ჩიგოგიძეს** — ჩოხატაურის არასრული საშუალო სკოლის დაწყ. კლასის მასწავლებელს.
87. ლონგინოზ ანტონის-ძე **ჩიმაკაძეს** — თბილისის მე-26 საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებელს.
88. მიხეილ ომარინესის-ძე **ჩინჩალაძეს** — ქუთაისის მოზრდილთა მეექვსე საშ. სკოლის ფრანგული ენის მასწავლებელს.
89. იოსებ სამუელის-ძე **ჩხარტიშვილს** — მახარაძის რაიონის სოფ. ვაკისჯვრის არასრული საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
90. დავით ანდუყაფარის-ძე **ჩხეიძეს** — ქვემო სვანეთის რაიონის ლენტეხის საშ. სკოლის დირექტორს.
91. ეკატერინე კონსტანტინეს-ასულ **ჩხეიძეს** — ფოთის მე-2 საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერ. მასწავლებელს.
92. ალექსი მათეს-ძე **ცანავას** — ცხაკაიას რაიონის სოფ. მენჯის არასრული საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
93. სერგო პავლეს-ძე **ცივილინს** — თბილისის მე-26 საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერ. მასწავლებელს.
94. ერმილე ნიკოლოზის-ძე **ცომაიას** — ფოთის რაიონის სოფ. მალთაყვის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს.
95. იასონ სოლომონის-ძე **ცომაიას** — თბილისის სტალინის რაიონის განათ. განყ. ინსპექტორს.
96. ლიუსია ქრისტეფორეს-ასულ **ცურინოვას** — თბილისის მე-7 საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელს.
97. პლატონ გიორგის-ძე **წულუკიძეს** — ჭუთაისის მე-25 საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
98. ელენე ანტონის-ასულ **ჭანტურიას** — თბილისის მე-7 საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
99. სოლომონ პავლეს-ძე **ჭანტურიას** — წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიის საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
100. ოლღა მიხეილის-ასულ **ჭეიშვილს** — თბილისის მე-25 საშ. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს.
101. ნიკოლოზ ივანეს-ძე **ჭეიშვილს** — თბილისის მე-42 საშ. სკოლის ყოფ. დირექტორს.
102. ნესტორ გუჯუს-ძე **ჭითავას** — ცხაკაიას რაიონის სოფ. ზანის საშ. სკოლის დირექტორს.
103. თამარ მიხეილის-ასულ **ჯოჯინაძეს** — გორის საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
104. ტროფიმე გიორგის-ძე **ხაჩალიას** — ხობის რაიონის სოფ. ხეთის არასრული საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
105. თეოფანე ვასილის-ძე **ხარატიშვილს** — ბაშის რაიონის სოფ. მარნის საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
106. ნადია დავითის-ასულ **ხატიაშვილს** — გურჯაანის რაიონის სოფ. არაშენდის საშ. სკოლის დაწყ. კლასის მასწავლებელს.
107. ალექსანდრა ივანეს-ასულ **ხასიშვილს** — გორის საშ. სკოლის დაწყ. კლასის მასწავლებელს.
108. ქეთევან დიმიტრის-ასულ **ხერხეულიძეს** — თბილისის მე-14 საშ. სკოლის დაწყ. კლასის მასწავლებელს.
109. ლაზარე ვასილის-ძე **ხმალაძეს** — ქუთაისის მე-2 საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
110. ქეთევან იოსების-ასულ **ხომერიკი-თოხაძისას** — თბილისის მე-34 საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელს.
111. სამუელ ლავრენტის-ძე **ხონელიძეს** — ბაშის რაიონის სოფ. მაიდნის საშ. სკოლის ქართ. ენისა და ლიტ. მასწავლებელს.
112. ელისაბედ დავის-ასულ **ხოსიტაშვილს** — გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახის საშ. სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.
113. ანა ნესტორის-ასულ **ჯაფარიძეს** — ხაშურის მე-16 რკინიგზ-ს საშ. სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელს.
114. სოფიო ალექსანდრეს-ასულ **ჯეირანაშვილს** — ყვარლის რაიონის სოფ. ოქტომბრის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს.
115. კონსტანტინე ივანეს-ძე **ჯორჯიკიას** — თბილისის მე-23 საშ. სკოლის დირექტორს.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე**

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე**

გამოვასწოროთ ჩამორჩენა საშემოდგომო თესვაში

საგარეჯოს რაიმიწგანი სუსტად ხელმძღვანელობს თესვას

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

— მოხნულია 8.394 ჰექტარი, დათესილია 4.669 ჰექტარი, თესვის გეგმა შესრულებულია 36,2 პროცენტით. —ასეთია საგარეჯოს რაიმიწგანის 15 ოქტომბრის ცნობები საშემოდგომო ხვნა-თესვის მიმდინარეობის შესახებ.

როგორც აღნიშნული ციფრებიდან ჩანს, საგარეჯოს რაიონი ჩამორჩენილია საშემოდგომო ხვნა-თესვაში. რაიმიწგანმა, მტს-ებმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა თავიდანვე ვერ უზრუნველჰყვეს საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის მოსამზადებელი სამუშაოების წარმატებით ჩატარება.

სართიჭალის მტს-მა (დირექტორი— ბ. რევაზოვი) ადრევე ვერ მოიმარაგა ტრაქტორებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები, რაც იწვევს ტრაქტორების ხშირ გაცდენას. სწორედ ამიტომაა, რომ აღნიშნულ მტს-ს თავისი მომსახურების კოლმეურნეობებში თესვის გეგმა 12 ოქტომბრისათვის შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 15 პროცენტით.

ასეთივე მდგომარეობაა საგარეჯოს მტს-შიც (დირექტორი — ა. ქეშოკლიძე). აქაც ხშირად აქვს ადგილი ტრაქტორების გაცდენას სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო.

